ქ. თბილისი 05 თებერვალი 2024 წ.

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი 4/2 5/02/24

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის და შპს „არ ემ ჯი გოლდი“-ს

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი (შემდგომში „ინსტიტუტი“) (ს/ნ: 204862247), წარმოდგენილი დირექტორის, პროფესორ ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „არ ემ ჯი გოლდი“ (შემდგომში „კომპანია“) (ს/ნ: 225359947), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის ჯონდო შუბითიძის სახით, (შემდგომში „მხარეები“), იღებენ რა მხედველობაში სამთო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებებით ორმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ რა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და წარმატებული სამთო საწარმოს მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული და სამეცნიერო პროგრესიის ხელშეწყობაში, თანხმდებიან შემდეგზე: მხარეები, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მჭიდროდ ითანამშრომლებენ სამთო ტექნოლოგიების სრულყოფისა მიმართულებით, მათ შორის:

მუხლი 1

ინსტიტუტი თანახმაა და ვალდებულებას იღებს:

- შეასრულოს კომპანიის საბაზო სამეცნიერო დაწესებულების როლი ინტელექტუალური და მატერიალურ-ტექნიკური ძალების სრული გამოყენებით:
- საჭიროების შემთხვევაში დაუშვას კომპანიის თანამშრომლები საკუთარ ლაბორატორიულ ბაზებზე ექსპერტულ-ანალიზური თუ სხვა სახის კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად;
- გააცნოს კომპანიის უფლებამოსილ პირს მის საწარმოო უბნიდან აღებული სინჯებზე კვლევების ჩატარების მიზნები, ამოცანები და მეთოდოლოგიური ასპექტები;
- ინსტიტუტი პასუხისმგებელია დაიცვას კომპანიის სამთო მინაკუთვნებიდან აღებული სინჯების კვლევების შედეგების კონფიდენციალურობა;
- არ გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები კომპანიასთან შეთანხმების გარეშე;
- ხელი შეუწყოს კომპანიის მიღწევების პოპულარიზაციას, დაიცვას მისი ინტერესები და განახორციელოს საინფორმაციო მხარდაჭერა ყველა იმ საერთაშორისო ფორუმებზე, სადაც წარმოდგენილი იქნება ინსტიტუტი;
- მასმედიის საშუალებებში თუ სამეცნიერო ჟურნალებში კომპანიის ჩართულობით გამოქვეყნებულ ყველა სტატიაში, ცალკე პუნქტად ასახოს კომპანიის როლი და დამსახურება სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაში.

მუხლი 2

კომპანია თანახმაა:

- წინაწარი შეთანხმების საფუძველზე, კომპანიაში მოქმედი პროტოკოლის დაცვით, დაუშვას მის მფლობელობაში არსებულ საწარმოო-ტექნოლოგიურ უბნებზე ინსტიტუტის მეცნიერები სამეცნიერო კვლევების მიზნებისთვის საჭირო სინჯების მოსაპოვებლად/მისაღებად, თუ იგი არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას და არ არის შეზღუდული კომპანიის შიდა რეგულაციებით;
- წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, მისცეს შესაძლებლობა ინსტიტუტის მეცნიერებს გაეცნონ კომპანიის მფლობელობა-გამოყენებაში არსებულ ტექნოლოგიურ რეგლამენტებს და წიაღის დამუშავების პროექტებს, რომლებიც არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას;
- ორმხრივი დაინტერესების შემთხვევაში დაუშვას ინსტიტუტის მეცნიერები სათანადო უბნებზე კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებული ტექნიკური პირობებითა და მეთოდოლოგიით ერთობლივი საწარმოო ექსპერიმენტების ჩასატარებლად;
- საერთო ინტერესის პირობებში დაეხმაროს ინსტიტუტის მეცნიერებს ისარგებლონ კომპანიის მფლობელობაში არსებული კვლევითი აპარატურით და ისეთი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც არ მოითხოვს ძვირადღირებულ სახარჯ-მასალებსა და დიდ ფინანსურ დანახარჯებს;
- შესაძლებლობების ფარგლებში დაეხმაროს ინსტიტუტს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვაში.

მუხლი 3: მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრამდე ვადით.

3.2 მხარეები უფლებამოსილნი არიან ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე მემორანდუმი, მეორე მხარისთვის არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გზით.

მუხლი 4: მემორანდუმში ცვლილებების შეტანა

4.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე მემორანდუმის ტექსტში განხორციელდება წერილობითი სახით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

4.2. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმის პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 5: კონფიდენციალობა

5.1 მხარეები ვალდებულნი არიან საიდუმლოდ დაიცვან ნებისმიერი მონაცემები და ინფორმაცია, რომელიც მიაწოდეს მხარეებმა ერთმანეთს ამ მემორანდუმის ფარგლებში და განსაზღვრეს, როგორც კონფიდენციალური ინფორმაცია (ფინანსური თუ კომერციული სახის საიდუმლოება), არ გაამხილონ, არ გაახმაურონ, ნაწილობრივ ან მთლიანად, კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირთან, წინამდებარე მემორანდუმის მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

5.2 მხარე ვალდებულია არ გამოიყენოს რაიმე მიზმებისთვის წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

5.3 კონფიდენციალურობის პასუხისმგებლობა მხარის მიმართ არ ვრცელდება იმ ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე, რომელიც შეიძლება გახმაურდეს ან გახდეს ცნობილი მხარისაგან დამოუკიდებლად.

5.4 ზემოაღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება იმ ინფორმაციაზე, რომელიც გარეშე პირებისათვის ცნობილი გახდა სხვა წყაროებიდან მხარეთა ძალისხმევის გარეშე.

5.5 კონფიდენციალურიი ინფორმაციის დაცვის ვალდებულება მოქმედებს მანამ, სანამ მეორე მხარე იცავს ამ ინფორმაციის კონფიდენციალობას.

მუხლი 6: ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების შესრულებისაგან ფორს-მაჟორული პირობების დადგომის შემთხვევაში.

6.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა ასეთ გარემოებათა შედეგების აღმოსაფხვრელად და წერილობით შეატყობინონ მეორე მხარეს აღნიშნულის შესახებ.

მუხლი 7: დავების გადაწყვეტა

7.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში თუ მხარეებს შორის წარმოიშვება რაიმე სახის დავა, მხარეები ყველანაირ ზომებს მიიღებენ მათ გადასაჭრელად ურთიერთშეთანხმებისა და ურთიერთმოლაპარაკების საშუალებით.

7.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 8: სხვა პირობები

8.1 წინამდებარე მემორანდუმი არ წარმოშობს მხარეთა შორის ფინანსურ ვალდებულებებს.

8.2 იმ საკითხებზე რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მემორანდუმით, ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში მხარეები მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთა თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

8.4 მემორანდუმი შესრულებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო	შპს „არ ემ ჯი გოლდი“-ს
ინსტიტუტის დირექტორი	აღმასრულებელი დირექტორი
ნიკოლოზ ჩიხრაძე	ჯონდო შუბითიძე